ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა (ფაკულტეტი)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ქართული ფილოლოგია
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია 0232. 1.1
ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის ხელმძღვანელი
თამარ ვაშაკიძე დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
პროგრამის მოცულობა
ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, გონივრულად დაგეგმოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი. პროგრამა შედგება სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტებისაგან. არჩევით კომპონენტში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კურსები. ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში – 30 კრედიტს, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ – არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 162 კრედიტს, ხოლო არჩევითში – 78-ს.

1. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 135 კრედიტი, რომელშიც გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი 12 კრედიტის ოდენობით;
2. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებში სტუდენტი აგროვებს 42 კრედიტს, რომელიც მოიცავს კვლევით პროექტსაც 12-კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომის ან 6-კრედიტიანი ჯგუფური პროექტის სახით;
3. თავისუფალი კომპონენტი ითვალისწინებს 63 კრედიტს, რომელთაგანაც 21 სავალდებულოა, ხოლო 42 – არჩევითი. ამ უკანასკნელის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშაოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაუფართოოს მისთვის საინტერესო სფეროთა თვალსაწიერი;
4. თავისუფალ კომპონენტებშივე მოიაზრება 9 კრედიტი, რომელთა დაგროვება სტუდენტს შეუძლია როგორც ქართული ფილოლოგიის, ისე შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იმავე საფეხურის სხვა პროგრამების მიხედვით, ან კიდევ – საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი აკრედიტებული პროგრამების გათვალისწინებით, თუ ეს კრედიტები აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით.

სწავლების ენა

ქართული ენა

პროგრამის მიზანი

ქართული ფილოლოგია უკავშირდება ერის საერთო კულტურას, რომელიც საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობას გულისხმობს განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ჰუმანიტარულ დისციპლინებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ყოველთვის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ზნეობრივ ფასეულობათა ჩამოყალიბების სფეროში. ამათგან გამორჩეული ადგილი განეკუთვნება ქართულ ფილოლოგიას – როგორც ეროვნული თვითშეგნების ყველაზე ნათლად და ადეკვატურად წარმომჩენს.

სალიტერატურო ენის არსებობის უმაღლესი კატეგორიაა სახელმწიფო ენა, რომელიც აერთიანებს ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესსა და სულისკვეთებას. ამიტომაც არის, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში ენობრივი პოლიტიკა (რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია მშობლიური ენისა და ლიტერატურის ჯეროვნად სწავლების საკითხი) უმაღლეს სახელმწიფოებრივ რანგშია აყვანილი.

დღეს – მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისა და ისტორიულ გარდატეხათა ჟამს, როდესაც სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად მეტ-ნაკლებად იცვლება ენობრივი გარე-მოც და განვითარების ტენდენციებიც – როცა ეპოქის ინტენსიურმა წინსვლამ მრავალი ახალი პრობლემა შეუქმნა ქართულ სახელმწიფო ენას, ბუნებრივია, განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხიც. ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წერენ და მეტყველებენ ქართველი ახალ-გაზრდები და როგორ ფლობენ ისინი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ამიტომ, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების არსებობა ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება არა მხოლოდ პროფესიული ცოდნით,არამედ ფართო ერუდიციითაც, ინტელექტით, ჰუმანიზმითა და ტოლერანტობით, რაც მას დიდად შეუწყობს ხელს, გონივრულად დაგეგმოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს:

1. ა) სტუდენტს შეასწავლოს ენათმეცნიერების ამოსავალი ცნებები, ლინგვისტიკური ანალი-ზის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, უნივერსალურ კანონზომიერებათა ტიპები, ენის მანქანური (კომპიუტერული) დამუშავების პრობლემები, წინადადებათა საინფორმა-ციო სტრუქტურების ძირითადი მოდელები, სტანდარტული ენის ფუნქციონირების სფე-როები, ენის ეკოლოგიის პრობლემები; გააზრებინოს ფონეტიკა-ფონოლოგიის ძირითადი საკითხები; შეასწავლოს ძველი და თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსი (პირველი ეტაპის გათვალისწინებით: სახელთა ფორმაწარმოება; მარტივი წინადადების პრობლემა);გააცნოს ქართული ენის ლექსიკოლოგიურ-სემანტიკური სისტემები, აზრის ენობრივ გარსში გამოხატვის საშუალებანი; გააზრებინოს ევროპული და ქართული გრამატიკული აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხები, ანტიკურ-ბიბლიური ენობრივი თეორიები და წარმოუჩინოს ქართული გრამატიკული აზრის ჩამოყალიბების ისტორია;
   ბ) განსხვავებული ასპექტებით დაანახვოს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შედევრები: ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის გამორჩეული ნიმუშები; შეასწავლოს ქარ-თული ლიტერატურის ოქროს ხანის ძეგლები, რენესანსისა და აღორძინების პერიოდის ნაწარმოებები, სახოტბო პოეზია; აგრეთვე – გააცნოს ახალი და უახლესი ქართული ლიტე-რატურის ძირითადი ჟანრები და მიმდინარეობანი (პირველი ეტაპის გათვალისწინებით: XIX საუკუნის პირველი ნახევარი; XX საუკუნის პირველი ნახევარი); ქართული ლიტერატურა წარმოუჩინოს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; ასწავლოს ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიური კონცეფციები და ცნება-ტერმინები;
2. ა) სიღრმისეულად შეასწავლოს ძველი და თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის საკითხები (მეორე ეტაპის გათვალისწინებით: ზმნის ფორმაწარმოება, უდეტრები; შერწყმული და რთული წინადადებები, ზერთული კონსტრუქციები); გააცნობიერებინოს ენის ფუნქციონირების განსხვავებული სტილები, ქართული ენის სის-ტემებისა და სტრუქტურების ისტორიული ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები; გააზრებინოს ენის სტილისტიკური მახასიათებლები; გააცნოს ისტორიულ-შედარებითი

ენათმეცნიერების ამოცანები, კვლევის მეთოდები და თანამედროვე მიღწევები; საფუძვლიანად შეასწავლოს ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპები, უნივერსალურ კანონზომიერებათა ტიპები, ტექსტის ლინგვისტიკის ძირითადი თეორიები, ინფორმაციის გადაბმის საშუალებანი და მათი სახეები; დაანახვოს კავკასიის ენობრივი სივრცის სოციოლინგვისტიკური პრობლემები; გააცნოს გეოგრაფიული და სოციალური დიალექტები; უჩვენოს საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა სტატუსი; ცოდნა შესძინოს აკადემიური წერის სფეროში; ჩამოუყალიბოს ზეპირი მეტყველების კულტურა;დააძლევინოს აუდიტორიასთან ურთიერთობის სირთულენი;

ბ) ცოდნა გაუღრმაოს ძველი, ახალი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის სფეროში (მეორე ეტაპის გათვალისწინებით: XIX საუკუნის II ნახევარი; XX საუკუნის II ნახევარი); დაანახვოს მხატვრული სამყაროსა და რეალობის ურთიერთმიმართების საკითხები, პოსტმოდერნიზმის არსი და ტენდენციები; გააცნოს (ლიტერატურათმცოდნეობაში დანერგილი კვლევის მეთოდების საშუალებით) ქართული კლასიკური ტექსტების წაკითხვის უახლესი ინტერპრეტაციები; გამოუმუშაოს ეპოქისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე დაკვირვების უნარი; შეასწავლოს უცნობი და ნაკლებად შესწავლილი ტექსტები; წარმოაჩენინოს ეროვნული იდენტობის აღქმის ძირითადი კონცეფციები;შეამეცნებინოს ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი მეთოდოლოგიური მიმდინარეობანი; გააზრებინოს ლიტერატურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება;

3. შეასწავლოს ინგლისური ენა საერთო ევროპული ჩარჩოს B1+ დონის შესაბამისად;
4. გააცნოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდები, სიტუაციის ანალიზისა და მიმდინარე პროცესების კანონზომიერებათა დადგენის საშუალებები;
5. გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები (რაც მიიღწევა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტსა თუ სკოლასთან თანამშრომლობით);
6. ასწავლოს საბაკალავრო ნაშრომსა თუ კვლევით ჯგუფურ პროექტზე მუშაობა;
7. ცოდნა შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროებში;
8. ხელი შეუწყოს მის პროფესიულ წინსვლას; გაუღვიძოს მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოსადმი; ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოური კულტურის მიმართ.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, ან კიდევ – მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება, სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც ენის მეცნიერებათა, ისე ლიტერატურათმცოდნეობის, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიისა თუ სხვა (მისთვის საინტერესო) ჰუმანიტარული დარგის მიმართულებით, თუ ის (მისი არჩევანი) არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ქართული ფილოლოგიის ბაკალავრს (პროგრამის გავლის შემდეგ) შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ყველა სახის დაწესებულებაში (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები), რადგან დასახელებული პროგრამის მიხედვით შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მრავალმხრივ პროფესიულ თუ ზოგადტრანსფერულ გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მაღალკონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- ჟურნალ-გაზეთების კორექტორ-რედაქტორებად (მათ შორის – ინტერნეტგამოცემების);
- რადიო და სატელევიზიო გადაცემების რედაქტორებად სხვადასხვა ტელეკომპანიაში;
- ტექსტების რედაქტორებად სარეკლამო სააგენტოებში;
- მთარგმნელებად (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული) სხვადასხვა ოფისში;
- თარჯიმნებად სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე;
- სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტების რედაქტორ-მენეჯერებად (სამინისტროებსა თუ სხვა სახის უწყებებში);
- ინგლისურენოვანი ფილმების მთარგმნელებად ტელე- და კინოკომპანიებში;
- სცენარებისა და პიესების მთარგმნელ-რედაქტორ-კორექტორებად;
- აღმზრდელებად ბაგა-ბაღებში;
- კოორდინატორად სკოლაში;
- საქმის ქაღალდების (მათ შორის, საჯარო გამოსვლის) რედაქტორ-შემდგენლებად სხვადასხვა ოფისში;
- გახანგრძლივებული კლასების კოორდინატორებად;
- ნოტარიუსების, მოსამართლეებისა და ადვოკატების თანაშემწეებად (შესაბამისი საქმის ქაღალდების გაფორმება-მომზადების მიზნით);
- ოფისმენეჯერის თანაშემწეებად (ტექსტური ნაწილის მომზადება-რედაქტირების თვალსაზრისით);
- საპრეზენტაციო ცენტრებში თანაშემწეებად (პრესრელიზებისა თუ სხვა სახის საქმის ქაღალდების მომზადების მიზნით);
- ნებისმიერი სახის პროექტებში ტექსტური ნაწილის მთარგმნელ-რედაქტორ-კორექტორებად;
- საელჩოებში ქართულ-ინგლისური თუ ინგლისურ-ქართული დოკუმენტაციის შემდგენელ-რედაქტორებად;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების თანამშრომლებად სხვადასხვა კომპანიაში;
- გიდებად;

- გასართობი ცენტრებისა და საბავშვო გადაცემების ორგანიზატორ-დიჯეი-კონფერენსიე-ბად;
- საოფისე პრესსამსახურის ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორებად;
- დარგობრივ-პროფესიული, სამეცნიერო-კვლევითი თუ მხატვრული ლიტერატურის რედაქტორ-კორექტორებად და რედაქტორების თანაშემწეებად სხვადასხვა ტიპის (მათ შორის ელექტრონულ) ჟურნალებში;
- დიქტორებად (საჭიროების შემთხვევაში – სუფლიორებად), კორესპონდენტების ასისტენტებად, სოციალური მედიის ადმინისტრატორებად, სხვადასხვა სახის ღონისძიების (სადღესასწაულო თუ სხვა) ორგანიზატორებად, წამყვანებად; მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებათა თანამშრომლებად და ა.შ.

სწავლის შედეგები

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული

1. ა) სიღრმისეულად აცნობიერებს ენათმეცნიერების ამოსავალ ცნებებსა და ლინგვისტიკური ანალიზის ძირითად პრინციპებს; აანალიზებს თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ სისტემას, სამეტყველო აპარატის საწარმოთქმო ჩვევებს, ფონეტიკურ მოვლენებსა და პროცესებს; განიხილავს (ძველი და თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით) სახელთა ფორმაწარმოების საკითხებს; გამოყოფს და ახასიათებს ფუძესა და სადერივაციო ფორმანტებს, გრამატიკული ფორმის მცვლელ აფიქსებს; გაიაზრებს (ასევე ძველი და თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით) სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეებს, წინადადებებს რაგვარობის მიხედვით, მთავარ და არამთავარ წევრებს, მარტივი წინადადების ტიპებს; ახასიათებს ქართული ენის ლექსიკოლოგიურ-სემანტიკურ სისტემებს, სიტყვის მრავალმნიშვნელიანობას, სინონიმებს, ანტონიმებს, ომონიმებს, პარონიმებს – თანამედროვე ქართული ენის ლექსიკას შედგენილობისა და გამოყენების თვალსაზრისით; ფლობს ენის მანქანური (კომპიუტერული) დამუშავების უნარ-ჩვევებს – შეიმუშავებს უნივერსალურ წესებს მეტყველების ნაწილთა მანქანური დამუშავებისათვის და ამზადებს მონაცემთა ბაზას; განიხილავს ევროპული და ქართული გრამატიკული აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხებს; წერს საკურსო ნაშრომს მისთვის საინტერესო სფეროს გათვალისწინებით;

   ბ) აანალიზებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შედევრებს – ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის გამორჩეულ თხზულებებს, ოქროს ხანისა და აღორძინების პერიოდის ძეგლებს, სახოტბო პოეზიას; აცნობიერებს ქართული ლიტერატურის მიმართებას ბიბლიურ კულტურასა და მწერლობასთან; ახასიათებს ახალი (XIX საუკუნის I ნახევრის) და უახლესი (XX საუკუნის I ნახევრის) ქართული ლიტერატურის ჟანრებსა და მიმდინარეობებს მსოფლიო მწერლობის კონტექსტში; წარმოაჩენს და განიხილავს ლიტერატურათმცოდნეობის კონცეფციებს; გამოყოფს (საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით) საინტერესო თემას და წერს საკურსო ნაშრომს;
2. ა) განიხილავს ზმნის ფორმაწარმოების საკითხებს, ფორმაუცვლელ სიტყვა-გამოთქმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს ძველი ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით (ძველი ქართული ენა II); აანალიზებს ზმნის კატეგორიებსა და უდრეტებს თანამედროვე ქართული

ენის მიხედვით (მორფოლოგია II); ახასიათებს შერწყმულ და რთულ (პარატაქსი, ჰიპოტაქსი) წინადადებებს ახალი ქართული ენის მონაცემების შესაბამისად (სინტაქსი II); გამოყოფს ტექსტური ინფორმაციის გადაბმის საშუალებებს; განიხილავს ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპებს, კავკასიის ენობრივი სივრცის სოციოლინგვისტიკურ პრობლემებს, ქართველური ენებისა და გეოგრაფიულ-სოციალური დიალექტების თავისებურებებს; ირჩევს (საკუთარი ინტერესების შესაბამისად) რომელიმე საკითხს და წერს კვლევით ნაშრომს;

ბ) ახასიათებს ძველი (მეორე ეტაპის მიხედვით),ახალი (XIX საუკუნის II ნახევრის) და უახლესი (XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის) ქართული ლიტერატურის ქმნილებებს, უცნობ და ნაკლებად ცნობილ თხზულებებს; განიხილავს ქართულ-კლასიკურ ტექსტებს უახლესი ინტერპრეტაციების გათვალისწინებით; აანალიზებს ეპოქისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემას; გაიაზრებს ლიტერატურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას; წერს კვლევით ნაშრომს (ერთ-ერთი საკითხის გათვალისწინებით);

3. იცის ინგლისური ენა საერთო ევროპული ჩარჩოს B1+ დონის შესაბამისად;
4. განიხილავს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ყველაზე ეფექტურ მეთოდებს, სიტუაციის ანალიზისა და მიმდინარე პროცესების კანონზომიერებათა დადგენის საშუალებებს;
5. ფლობს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს (რაც მიიღწევა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტსა თუ სკოლასთან თანამშრომლობით);
6. წერს საბაკალავრო ნაშრომსა თუ კვლევით ჯგუფურ პროექტს;
7. იყენებს თანამედროვე ციფრულ-ტექნოლოგიურ რესურსებს;

თვალყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; გეგმავს პროფესიული განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს; ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები

☒ლექცია; ☒ჯგუფური მუშაობა; ☒სემინარი; ☒პრაქტიკული მეცადინეობა;

☒საბაკალავრო ნაშრომი; ☒სასწავლო პრაქტიკა; ☒საშინაო დავალება/რეფერატი/საკურსო; ☒ ესეი; ☒დისტანციური სწავლება და სხვ.

პროფესორი იყენებს ზემოთ დასახელებულ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან – ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანის გათვალისწინებით.

კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სხვა სახის აქტივობა:

- წიგნზე მუშაობა
- საშინაო დავალება

- ზეპირი გამოკითხვა
- წერითი სამუშაო (ტესტირება, კონსპექტი)
- ახსნა-განმარტება
- დემონსტრირება
- პრეზენტაცია
- დისკუსია-დებატები
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- გუნდური მუშაობა
- პრაქტიკული სამუშაო
- დამოუკიდებელი სამუშაო (მოხსენება, პროექტი)
- ელექტრონული რესურსის გამოყენება

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება ითვალისწინებს სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების დონე ფასდება შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმებით. მათი ჯამი წარმოადგენს საბოლოო ქულას – 100.

გამოცდის ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რაც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა-გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის შეფასების სახეობას (ზეპირი/წერითი გამოცდა და გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა).

შეფასების კომპონენტები აერთიანებს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესეი, პრეზენტაცია და სხვა. შეფასების მეთოდი იზომება საგამოცდო კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასებისთვის – მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითისთვის –16.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ეძლევა დადებითი შეფასების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება

(A)ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;

(B)ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C)კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D)დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება

(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა (დამოუკიდებელი მუშაობით) დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

(FX)-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში;

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულა გამოითვლება შემდეგნაირად:

ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაზე, ხოლო რიცხვების საერთო ჯამი უკვე იყოფა იმ რაოდენობაზე, რომელსაც სტუდენტი დააგროვებს კრედიტების სახით.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის საქმიანობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარება(სამედიცინო კაბინეტის სახით);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით);
- მკვლევრებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. სტუდენტი განიხილავს ფილოლოგიის საკვანძო საკითხებს: ენათმეცნიერების ამოსავალ პრინციპებსა და მეთოდებს, ფონეტიკა-ფონოლოგიის უმთავრეს პრობლემებს, ძველი და თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს (პირველი ეტაპის გათვალისწინებით),ლექსიკოლოგია-სემანტიკის ამოცანებს, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიას, ენის კომპიუტერული მოდელირების პრინციპებს, მეტყველების კულტურის პრობლემებს, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უახლეს მეთოდებს; ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის შედევრებს (პირველი ეტაპის გათვალისწინებით), ლიტერატურათმცოდნეობის თეორიებს; აანალიზებს ქართული ლიტერატურის ძეგლებს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინებით; განიხილავს ზოგადი ფსიქოლოგიის პრინციპებს, პედაგოგიკის მეთოდებს; ეუფლება ინგლისურ ენას A2+ დონეზე.

სამიზნე ნიშნული:

1 სწავლა-სწავლების მიზნით სტუდენტთა შედეგები მიიღწევა შემდეგი სასწავლო კურსების გათვალისწინებით:

1. ფილოლოგიის შესავალი;
2. ენათმეცნიერების შესავალი;
3. ფონეტიკა-ფონოლოგია;

4. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (I);
5. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი (I);
6. ძველი ქართული ენა (I);
7. ძველი ქართული ლიტერატურა (I);
8. ახალი ქართული ლიტერატურა (I);
9. უახლესი ქართული ლიტერატურა (I);
10. ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (I);
11. ლიტერატურათმცოდნეობა;
12. მეტყველების კულტურა: საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები;
13. ლექსიკოლოგია-სემანტიკა;
14. ენის კომპიუტერული მოდელირება(I);
15. ქართული გრამატიკული აზრის ისტორია;
16. პედაგოგიკა;
17. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა;
18. ზოგადი ფსიქოლოგია;
19. ინგლისური ენა (A2+).

2. სტუდენტი სიღრმისეულად აანალიზებს ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის შედევრებს (მეორე ეტაპის გათვალისწინებით); განიხილავს ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს (მეორე ეტაპის გათვალისწინებით); ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს; მსჯელობს ქართული ენის სტილისტიკურ მახასიათებლებზე,სალიტერატურო ენის ისტორიის უმთავრეს საკითხებზე; ახასიათებს სტანდარტული ენის ფუნქციონირების სფეროს, გეოგრაფიული და სოციალური დიალექტების თავისებურებებს; აცნობიერებს ტექსტის ექსპერტიზის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს; ფლობს საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევებს; აანალიზებს ზნეობრივ ღირებულებათა კანონზომიერების არსს; ფლობს კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, ინგლისურ ენას B1+ დონეზე; წერს საბაკალავრო ნაშრომს ან მუშაობს კვლევით პროექტზე; ამზადებს პრაქტიკის დღიურს.

3. აყალიბებს დასკვნებს პროფესიისათვის დამახასიათებელი ცოდნა-გამოცდილებისა და პრინციპების გათვალისწინებით; აანალიზებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას; განმარტავს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების განვითარების გზებსა და დარგთაშორის მსგავსება-განსხვავებებს.

სამიზნე ნიშნული:

2 და 3 სწავლა-სწავლების მიზნით სტუდენტთა შედეგები მიიღწევა შემდეგი სასწავლო კურსების გათვალისწინებით:

1. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (II);
2. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი (II);

3. ძველი ქართული ენა (II);
4. ძველი ქართული ლიტერატურა (II);
5. ახალი ქართული ლიტერატურა (II);
6. უახლესი ქართული ლიტერატურა (II);
7. სტილისტიკა;
8. სალიტერატურო ენის ისტორია;
9. სოციოლინგვისტიკა;
10. ტექსტის ლინგვისტიკა;
11. საჯარო გამოსვლა;
12. კომპიუტერული უნარ-ჩვევები;
13. მეტყველების კულტურა: აკადემიური წერა;
14. პრაქტიკა;
15. საბაკალავრო ნაშრომი/ კვლევითი პროექტი
16. ინგლისური (B1+);
17. ეთიკა.

ზემოთ დასახელებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით შეფასდება სტუდენტის თეორიული საბაზისო ცოდნაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც.

4. ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გამოყენებით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ წარმოადგენს სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტებისათვის საკუთარ არგუმენტებს როგორც ზეპირი, ისე წერითი ფორმით. ენისა და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხების ანალიზისას სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებს დასმულ შეკითხვებზე.
   - ციფრულ-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით თანამიმდევრულად წარმოადგენს საკონფერენციო თუ საპრეზენტაციო მასალას, ამავდროულად მიმართავს ლინგვისტიკური და ექსტრალინგვისტიკური კომუნიკაციის საშუალებებს;
   - არგუმენტირებულად უპასუხებს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს;
   - ითვალისწინებს საჯარო გამოსვლისათვის განსაზღვრულ დროის ლიმიტს;
   - აქტიურად მონაწილეობს ამა თუ იმ საკითხის ჯგუფურ განხილვაში. გამოთქმულ აზრზე ადეკვატურად რეაგირებს – ყველა ეთიკური ნორმის დაცვით; მსჯელობისას იყენებს შესაბამისი სტილისთვის დამახასიათებელ ლექსიკას; საუბრობს მკაფიოდ – გაბმული მეტყველებისთვის დამახასიათებელი რიტმითა და ინტონაციით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

საშინაო დავალება/ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა / წიგნზე მუშაობა/ ინტერნეტრესურსებით სწავლება/ ტესტირება/ ვერბალური მეთოდი/ დისკუსია-დებატები/ პროექტზე დაფუძნებული სწავლება/ საბაკალავრო ნაშრომი/ კვლევითი პროექტი/ რეფერატი/ საკურსო ნაშრომი.

5. წერს საკურსო ნაშრომს (ან რეფერატს) ლიტერატურათმცოდნეობით-ლინგვისტიკური პრობლემების გათვალისწინებით; მონაწილეობს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ პროექტში და ამზადებს ანგარიშს; წერს რეცენზიას წიგნზე, ფილმსა თუ სპექტაკლზე.

- ითვალისწინებს აკადემიური წერის მოთხოვნებს: ლოგიკურად განალაგებს ამა თუ იმ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს; შეუძლია აკადემიური ტექსტის შესაბამისი ფორმით მოდელირება;
- ადეკვატურად აგებს წერითი ნაშრომის სტრუქტურას;
- მართებულად იყენებს არჩეული სტრუქტურის პარაგრაფების ტიპებს (მაგ., აღწერა, ნარატივი...);
- ნაშრომის სტილის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამისი დონის გრამატიკულ კონსტრუქციებსა და თემატურ ლექსიკას;
- იცავს მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმებს.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

საშინაო დავალება/ ინდივიდუალური მუშაობა / სააუდიტორიო მუშაობა/ ჯგუფური მუშაობა/ წიგნზე მუშაობა/ ინტერნეტრესურსებით სწავლება/ ტესტირება/ ახსნა-განმარტებითი მეთოდი/ ესეი/ პროექტზე დაფუძნებული სწავლება/ პროექტის ანგარიში/ რეფერატი/ საკურსო ნაშრომი.

6. მუშაობს საოფისე პროგრამების გამოყენებით; ქმნის საიტებსა და ბლოგებს; ამზადებს მონაცემთა ბაზებს.

სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვების მიზნით იყენებს:

- გუგლის ღრუბლოვან სერვისებს,
- სოციალურ მედიას (პროფესიული კომუნიკაციისათვის),
- საოფისე პროგრამებს კვლევითი პროექტის, საკონფერენციო მოხსენებისა თუ სამეცნიერო ნაშრომის საპრეზენტაციოდ: Windows 7/10, MS. word 2007/2013, MS. Excel 2007/2013, MS. Power Point 2007/2013, Internet Explorer.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

საშინაო დავალება/ ინდივიდუალური მუშაობა / სააუდიტორიო მუშაობა/ ჯგუფური მუშაობა/ ინტერნეტრესურსებით სწავლება/ ახსნა-განმარტებითი მეთოდი/ დემონსტრირება/ პროექტზე დაფუძნებული სწავლება/ პრაქტიკული მეთოდები/ თანამშრომლობითი სწავლება/ პროექტი/ პრეზენტაცია.

7. მოიძიებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას (სამეცნიეროს, დარგობრივ-პროფესიულს, მხატვრულს, საქმიანს) კონკრეტულ თემასთან მიმართებით; კრიტიკულად გაიაზრებს (დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით) მას და წარმოადგენს აკადემიური ფორმით.

- მოიძიებს ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას;
- იყენებს სამეცნიერო დარგის შესაბამის კვლევით მეთოდებს;
- ზეპირი თუ წერითი ფორმით დამაჯერებლად აყალიბებს მიღებული კვლევის შედეგებს;
- აანალიზებს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებულ აუდიო- თუ მულტიმედიურ ინფორმაციას და წარმოადგენს მას შესაბამისი ფორმით;
- გაიაზრებს ნებისმიერი სახის ტექსტს (მხატვრულს, სამეცნიეროს, ოფიციალურ-საქმიანს...) ავტორისეული სათქმელის გათვალისწინებით და გადმოსცემს მას სათანადო კომენტარებით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

საშინაო დავალება/ ინდივიდუალური მუშაობა / სააუდიტორიო მუშაობა/ ინტერნეტრესურსებით სწავლება/ ესეი/ კვლევითი პროექტი/ სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი/ პრეზენტაცია/ პრაქტიკა/ პროექტზე დაფუძნებული სწავლება/ საკურსო ნაშრომი.

8. ფლობს სწავლის ავტონომიურ უნარ-ჩვევებს, ინდივიდუალურ სტრატეგიას, შეფასებისა და თვითშეფასებით კრიტერიუმებს.

- დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარ აკადემიურ პროცესს;
- აღწევს სასურველ საგანმანათლებლო მიზანს;
- ასრულებს სხვადასხვა სახის დარგობრივ-პროფესიულ სამუშაოს;
- აფასებს საკუთარ მიღწევებს თვითშეფასების სტრატეგიის გათვალისწინებით;
- განაზოგადებს პროფესიულ წრეებში წარმოდგენილ დასკვნებს და არგუმენტირებულად განიხილავს ახალ კონტექსტში;
- მონაწილეობს ნებისმიერი სახის გუნდურ მუშაობაში,მართვასა და სტრატეგიების შერჩევაში.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / გუნდური მუშაობა/ კვლევითი პროექტი/ სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი/ პრეზენტაცია/ პრაქტიკა/ საკურსო ნაშრომი.

9. წერს სამეცნიერო ნაშრომს ან მონაწილეობს კვლევითი სახის ჯგუფურ პროექტში ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით.

- იცავს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სტრუქტურას;
- თეზისს წარმოადგენს ნათლად, არგუმენტირებულად;
- იყენებს სამეცნიერო კვლევის შესაბამის მეთოდებს;
- აანალიზებს თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას და დაურთავს მას კვლევით ნაშრომს;
- გამოავლენს დასმული საკითხის რელევანტური გზით გადაწყვეტის უნარს;

- აქტიურად მონაწილეობს კვლევით პროექტში ყველა ეტაპზე (მაგ., დაგეგმვა, შესრულება, პრეზენტაცია);
- რეგულარულად აფასებს საკუთარ საქმიანობას პროექტზე მუშაობისას; წარმოადგენს თვითშეფასების დღიურს ამომწურავი ინფორმაციით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / ჯგუფური მუშაობა/ კვლევითი პროექტი/ სამეცნიერო- კვლევითი ნაშრომი/ პრეზენტაცია/ პრაქტიკა.

10. თვალყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; მუდმივად განაახლებს თავის პროფესიულ ცოდნას; ხვეწს უნარ-ჩვევებს.

- აკვირდება მეცნიერების სიახლეებს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში;
- მოიძიებს მისთვის საჭირო ახალ ინფორმაციას და განიხილავს მას ხელახალი სისტემატიზაციის მიზნით;
- კრიტიკულად გაიაზრებს ახალ სამეცნიერო ლიტერატურას ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა / კვლევითი პროექტი/ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/ პრაქტიკა.

11. თავად გეგმავს პროფესიული განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს; ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს; არის შრომისმოყვარე, აქტიური, თავდაჯერებული, ორგანიზატორული და მიზანსწრაფული, პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, აგრეთვე – ეთიკური და მორალური ფასეულობებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე.

- განსაზღვრავს და გეგმავს თავის მომავალ საგანმანათლებლო პროცესს;
- მართავს საკუთარ შესაძლებლობებსა და მატერიალურ რესურსებს;
- იღებს ინიციატივას და აღწევს სასურველ შედეგს;
- ოპტიმალურად იყენებს დროის რესურსებს;
- პროფესიულ დონეზე ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ინდივიდუალური მუშაობა /კვლევითი პროექტი/ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი/ პრაქტიკა.

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარისძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1 – პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუკა

დანართი 2 – CV – თამარ ვაშაკიძე